საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აგარის შაქრის კომბინატი

აგარის შაქრის კომბინატი (ახლანდ. შპს „აგარის შაქრის კომპანია“), გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმო.

დაარსდა დაბა აგარაში (ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი) 1932 სახელწოდებით „საქართველოს შაქრის კომბინატი“. 1995-მდე შაქარი იწარმოებოდა ადგილ. (ხაშური, ქარელი, გორი, კასპი, ახალგორი და სხვ. რ-ნები) შაქრის ჭარხლის გადამუშავებით და მისი წლ. მოცულობა 10–12 ათ. ტ შეადგენდა, ხოლო 1995-იდან საქართველოში შაქრის ჭარხლის წარმოების მნიშვნელოვანი შემცირების გამო ქ-ნა მთლიანად მუშაობდა იმპორტირებული შაქრის ლერწმის პირველადი გადამუშავებით მიღებულ ნედლეულზე. 2013-იდან იაფი, იმპორტირებული შაქრის პროდუქციასთან კონკურენციის შედეგად საწარმო შეფერხებებით მუშაობდა, 2019-იდან კი შეჩერდა.

2020 წლის ივნისში სახელმწიფოს დახმარებით ა.შ.კ-მა განაახლა საქმიანობა.

კ. ნიჟარაძე